*დანართი №4*

# უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

27.01.2023

## დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

## ანგარიშისშეფასებისპრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

## ექსპერტი

სახელი: ნინო

გვარი: ფავლენიშვილი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი Caucasus International University - LLC |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 201951637 |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | საერთაშორისო ურთიერთობები International Relations |
| 2 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 3 | კვალიფიკაციის დონე[2] | VI |
| 4 | კვალიფიკაციის დასახელება | საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი Bachelor of International Relations |
| 5 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3] | |
| 6 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4] | 0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები Political Sciences and Civics |
| 7 | სწავლების ენა | ქართული |
| 8 | ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| 9 | განხორციელების ადგილი[5] | ჩარგლის ქუჩა 73, ნაძალადევის რაიონი, თბილისი, სასწავლო |

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

| | | |
|---|---|---|
| | | კორპუსი N 1 0141 საქართველო |
| 10 | საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | განმეორებით აკრედიტებული გადაწყვეტილება MES 8 21 0001398793 21.12. 2021 |
| 11 | გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 21.12. 2021 |
| 12 | საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი | 1 წელი, 21.12.2022 |
| 13 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 31.12. 2028 |

## საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა | V | | | |
| 2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისების შეფასებისადეკვატურობა | | V | | |
| 3. სტუდენტთამიღწევები, | V | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მათთანინდივიდუალ ურიმუშაობა | | | | |
| 4. სწავლებისრესურსები თუზრუნველყოფა | V | | | |
| 5. სწავლებისხარისხისგ ანვითარებისშესაძლე ბლობები | V | | | |

## შესასრულებელირეკომენდაცი(ებ)ი[6]:

1. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს კურსი - ეკონომიკის შესავალი/საფუძვლები ან მოხდეს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კურსის მოდიფიცირება (მას დაემატოს ეკონომიკის საფუძვლის შემქმნელი ძირითადი ელემენტები);
2. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს საგანი *საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები*;
3.რეკომენდებულია, შეივსოს სილაბუსები დარგის უახლესი ლიტერატურით, მათ შორის ინგლისურენოვანით;
4. რეკომენდებულია გადამუშავდეს სოციალური კვლევის მეთოდების კურსის სილაბუსი დარგობრივი მიმართულებით;
5. რეკომენდებულია გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების სტატუსი და შინაარსი პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისად;
6. აუცილებელია, რომ გაძლიერდეს სტუდენტთა კვლევითი უნარები. მათ საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ კვლევის მეთოდოლოგიები და კვლევის კონკრეტული ტექნიკები;
7. აუცილებელია, შემუშავდეს შეფასების სტანდარტული ფორმა სტაჟირების განმახორციელებლებისათვის, რომელიც იქნება თავსებადი სილაბუსში გაწერილ კრიტერიუმებთან ჩაშლილი ქულობრივი შეფასებით. ამავდოულად, გაიწეროს სილაბუსში კონკრეტულად მუშაობის საათობრივი განაწილება: 30 საათი ინდივიდუალური (რა დავალება სრულდება) და 1 საათი მენტორთან მუშაობა (რას ეძღვნება? რა ფორმატში მიმდინარეობს?);
8. რეკომენდებულია, სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსების გადახედვა და შეფასების კრიტერიუმების კონკრეტიზაციის მიზნით;
9. რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების განახლება. კვლევის მეთოდებსა და ნაშრომის გაფორმების სტილზე აქცენტირება;
10. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

კსუ-ის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად და შემდგომ ანგარიშის მოსამზადებლად 2021 წლის სექტემბერში. ჯგუფში შევიდნენ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, იურიდიული სამსახურის უფროსი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი და პროფესორები, რომელთა სილაბუსებთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაციები.

ჯგუფის თითოეულ წევრ მიეცა შესაბამისი დავალება:

1. სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტში მოქმედი შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების წარმოდგენა (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი);
2. გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, სილაბუსებში ცვლილებების განხორციელება, სავალდებულო ლიტერატურის გადახედვა და განახლება (საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო კურსების განმახორციელებელი პროფესორები);
3. იურიდიული სამსახურის უფროსს დაევალა „საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესში“ შეფასებასთან, კვლევის მეთოდებსა და ნაშრომის გაფორმების სტილთან დაკავშირებით ინფორმაციის წარმოდგენა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება (იურიდიული სამსახურის უფროსი);
4. ინფორმაციის წარმოდგენა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე (რომელსაც იყენებენ პროგრამის განმახორციელებელი პროფესორები); ბოლო 1 წელიწადში შეძენილი სასწავლო მასალების/ სახელმძღვანელოების, უახლესი ქართული და ინგლისურენოვანი ლიტერატურის, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურის, ბეჭდური და ელექტრონული სახელ-მძღვანელოებისა და 2021 წლის დეკემბრიდან დღემდე შეძენილი დარგობრივი ლიტერატურაზე (ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი).

ჯგუფის მიერ მუშაობის დასრულების შემდეგ, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რეკომენდაციებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, გადაამოწმა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მოდიფიცირებული სილაბუსები და წარმოდგენილი დოკუმენტაცია; შესაბამისად, საბოლოო ანგარიში მომზადდა ხარისხის

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

სამსახურის უფროსის მიერ ჯგუფის წევრებთან შეთანხმების საფუძველზე, რომ არ დარღვეულიყო გუნდური მუშაობის პრინციპი.

### რჩევ(ებ)ი[8]:

1. სასურველია გაძლიერდეს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პიარ-სტრატეგია;
2. სასურველია პროგრამაში დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად გაძლიერდეს პრაქტიკული კომპეტენციების განმავითარებელი სასწავლო კურსები;
3. სასურველია, მეტი სიცხადე საბაკალავრო პროგრამაში დარგის ინგლისური ენის სწავლების თაობაზე, ნათლად იყოს ასახული სერტიფიკატის მქონე სტუდენტი ან ინგლისურენოვანი პროგრამიდან გადმოსული სტუდენტი თავისუფლდება თუ არა დარგობრივი ინგლისურის სწავლებისაგან;
4. სასურველია რიდერის ყოველ სავალდებულო წასაკითხ თემას ახლდეს ლიტერატურა, რომელსაც ის ეყრდნობა ან იყენებს;
5. ინგლისური ენის შეთავაზების კუთხით სასურველია არ იქნეს შეთავაზებული ინგლისური ენა დამწყებთათვის, ვინაიდან ამ სამი დონით შეუძლებელი იქნება დარგობრივი ინგლისური ენის ათვისება, სტუდენტებისთვის შეთავაზებული იყოს ორი პაკეტი B1 ან B2 დონით დაწყება, რაც დარეგულირდება სტუდენტის ჩარიცხვის შემდეგ;
6. სასურველია პროგრამაში გაძლიერდეს ეკონომიკური მიმართულების საკითხების სწავლება;
7. სასურველია სავარაუდო საბაკალავრო თემის სათაურების დაკონკრეტება და საბაკალავრო ნაშრომის მოცულობის გადახედვა / კორექტირება;
8. უსდ-მ უფრო აქტიურად შესთავაზოს სტუდენტებს კარიერული განვითარების მიმართულებით სხვადასხვა შესაძლებლობები მათი სპეციალობიდან გამომდინარე;
9. სასურველია საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისთვის სტუდენტების ჩართულობის წახალისება და დროული ინფორმირება;
10. სასურველია უსდ-ს გარე აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის წახალისება;
11. სპეციალობის გაცვლითი პროგრამების მხრივ უფრო აქტიური მუშაობა უსდ-ს მხრიდან;
12. საკონსულტაციო საათების მიზნობრიობაზე აქტიური კომუნიკაცია და სტუდენტების წახალისება, რომ ეფექტურად გამოიყებნონ ეს დრო;
13. სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების წასახალისებლად, რათა მათ აქტიურად გამოიყენონ აღნიშნული ბაზები;
14. სასურველია, პროგრამის განვითარებისა და გარე შეფასების პროცესში არა მარტო

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

ქართველი, ასევე უცხოელი ექსპერტებისგანაც იყოს მიღებული გარკვეული შეფასებები, მით უფრო, რომ უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ მრავალფეროვანი საერთაშორისო კონტაქტები და მემორანდუმებით განსაზღვრული ურთიერთობები;

15. სასურველია გააქტიურდეს სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო დონეზე - ევროპულ უნივერსიტეტებში მობილობის მიმართულებით (მაგ. ერაზმუს + პროექტის ფარგლებში უსდ-მ ხელი შეუწყოს სტუდენტების გაცვლით პროექტებში ჩართვას);

16. ბენჩმარკინგის დოკუმენტში გამოიკვეთოს უცხოური ანალოგების შესწავლის შედეგები და უკუკავშირის მიღების საკითხი.

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

2021 წლის სექტემბერში კსუ-ში საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევების, რეკომენდაციების შესასრულებლად და ანგარიშის მომზადების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, უნივერსიტეტის რექტორი, სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, იურიდიული სამსახურის უფროსი, კირაკოსიანი საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის კოორდინატორი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების სამსახურის უფროსი და სასწავლო კურსების განმახორციელებელი პროფესორები.

ჯგუფმა გადაინაწილა კონკრეტული დავალებები:

1. პროგრამაში ინგლისური ენის სწავლების სქემასთან დაკავშირებული არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენა (უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი);
2. სილაბუსებთან დაკავშირებით გამოთქმულ რჩევებზე საკუთარი პოზიციის წარმოდგენა (საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო კურსების განმახორციელებელი პროფესორები);
3. საბაკალავრო ნაშრომის და საკონსულტაციო საათების მიმართ გამოთქმულ რჩევებზე პასუხების მომზადება (პროგრამის ხელმძღვანელი);
4. პროგრამის პიარ-სტრატეგიასთან დაკავშირებით პოზიციის წარმოდგენა (საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი);

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

5. კვლევით პროექტებში სტუდენტთა ჩართულობის წახალისებისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების წარმოდგენა (სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსი);
6. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შესაბამისად, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სასწავლო მობილობის პროგრამებში აქტიურად ჩართვის მიზნით, ეფექტიანი ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება ( უნივერსიტეტის რექტორი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის კოორდინატორი);
7. ინფორმაციის წარმოდგენა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე (რომელისაც იყენებენ პროგრამის განმახორციელებელი პროფესორები); ბოლო 1 წელიწადში შეძენილი სასწავლო მასალების/ სახელმძღვანელოების, უახლესი ქართული და ინგლისურენოვანი ლიტერატურის, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურის, ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებისა და 2021 წლის დეკემბრიდან დღემდე შეძენილი დარგობრივი ლიტერატურაზე; იმ ტრენინგების ამსახველი მაალების წარმოდგენა, რომლებიც ტარდება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთათვის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზების ეფექტურად გამოყენების მიზნით (ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი).

## დამატებითი ინფორმაცია[10]

------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------
--------------------------------

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[12] | **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება[13] | **2.3. სასწავლო კურსი** |
| რეკომენდაცია I[14] | რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს კურსი - ეკონომიკის შესავალი/საფუძვლები ან მოხდეს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კურსის მოდიფიცირება (მას დაემატოს ეკონომიკის საფუძვლის შემქმნელი ძირითადი ელემენტები). |
| შეფასება | უსდ-მ გაითვალისწინა რეკომენდაცია და კურსს დაემატა ხუთი საბაზისო თემა შესაბამისი ლიტერატურით, რაც აისახა კურსის სილაბუსში. |
| რჩევა[15]I | სასურველია გაძლიერდეს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პიარ-სტრატეგია. |
| შეფასება | უსდ-მ გაითვალისწინა რჩევა და დაგეგმა მთელი რიგი ღონისძიებები მოსწავლე-აბიტურიენტებისათვისა და სტუდენტებისათვის, როგორიცაა პროექტები - საერთაშორისო პოლიტიკისა და დიპლომატიის სკოლა, კამათის ხელოვნება, იმიტირებული გამოცდები ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, პროფესიული ორიენტაციის პროგრამა, ღია კარის დღე, პოლიტიკური განათლების საზაფხულო სკოლა, საჯარო ლექციები, პროფესიული ტურები, პროფესიული დღეები; აკადემიური პერსონალისათვის დაიგეგმა ვიზიტები უცხოეთში, წიგნების გამოცემა, ლექტორიუმი, აკადემიური პერსონალის გაცნობითი პოსტები (სოციალურ მედიაში) და სხვა. |

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | ამასთან უსდ აქტიურად თანამშრომლობს საინფორმაციო სააგენტოებთან, ტელევიზიებთან; აქტიურობს სოციალურ ქსელებში. |
| მტკიცებულებ(ები)ა | 1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სილაბუსი;<br>2. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებგვერდი (http://ciu.edu.ge/) |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება | 2.3. სასწავლო კურსი |
| რეკომენდაცია II[16] | რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს საგანი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები. |
| შეფასება | უსდ არ ითვალისწინებს გაცემულ რეკომენდაციას.<br><br>მითითებული ორი კურსის სილაბუსის (შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში და საერთაშორისო პოლიტიკა) გაცნობის შემდეგ, ვფიქრობ, არც ერთი ეს საგანი ან ორივე ერთად სრულყოფილად ვერ მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს. მართალია, პირველი საგნის მე-3 და მე-5 კვირა ეთმობა თემებს - **„დიდი დებატები საერთაშორისო ურთიერთობებში, თეორიები და ტრადიციები და საერთაშორისო თეორიის სამი ტრადიცია და სამი პარადიგმა“ (ციტატა: „**სამი პარადიგმა - რეალიზმი, გლობალიზმი, პლურალიზმი, კრიტიკული თეორია, პოსტმოდერნიზმი, კონსტრუქტივიზმი, ფემინიზმი“). ჩემი მოსაზრებით, ერთი ლექციის ფარგლებში ძალიან რთული თუ არა მიუღწეველია სამი გრანდ თეორიის შესწავლა, განხილვა და ანალიზი, ჩემი აზრით). მე-6 კვირა ეძღვნება **რელიზმს** (ნეორელიზმის ავტორად მითითებულია ჰანს მორგენთაუ (კლასიკური რეალიზმის წარმომადგენელი). დიდი ალბათობით, ეს მექანიკური შეცდომაა); ხოლო მე-15 კვირა - **„თანამედროვეობის (MODERN) უახლესი თეორიები“** (არ ჩანს კონკრეტულად რა თეორიებზეა საუბარი). საერთაშორისო პოლიტიკის მე-2 ლექცია ეძღვნება თემას - „**სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის აქტორი“.** სალექციოდ განსახილველი საკითხების ნუსხაში „რეალიზმის და ლიბერალიზმის |

[16] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | პარადიგმების ანალიზის კატეგორიები“ ერთერთია მხოლოდ. ერთი ლექციის დროის რაღაც ნაწილი სრულიად არაა საკმარისი ამ ორი გრანდ თეორიის შესადარებლად, რომლთაც ამავდროულად მნიშვნელოვანი ქვეკატეგორიები აქვთ.<br>ამიტომ ვთვლი, რომ საჭიროა ერთი კონკრეტული საგანი, რომელიც იქნება აგებული საერთაშორისო ურთიერთოებების თეორიებზე (კლასიკური და სტრუატურული რეალიზმი, ნეორეალიზმი და ნეოკლასიკური რეალიზმი (ეს უკანასკნელი, როგორც გაფართოებული სტრუქტურული რეალიზმი), ლიბერალიზმი და ნეოლიბერალიზმი, მარქსიზმი და კრიტიკული თეორია, კონსტრუქტივიზმი, ფემინიზმი; შეიძლება სილაუბსი გამდიდრდეს პოსტსტრუქტურალიზმისა და პოსტკოლონიალიზმის თეორიებით, ინგლისური სკოლა და ა.შ). |
| რჩევა[17]II | სასურველია პროგრამაში დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად გაძლიერდეს პრაქტიკული კომპეტენციების განმავითარებელი სასწავლო კურსები. |
| შეფასება | უსდ-მ გაითვალისწინა რჩევა.<br><br>დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა რეკომენდაციით პროგრამას დაემატა მეორე უცხო ენა (რუსული, გერმანული, ფრანგული, სპარსული), სტუდენტის არჩევანის მიხედვით - 3 სემესტრად, სავალდებულო სასწავლო კურსების სტატუსით. პირველ 2 სემესტრში სტუდენტები აღნიშნული ენების ლექსიკას და გრამატიკას, მე-3 სემესტრში ეცნობიან დარგობრივ უცხო ენას და საერთაშორისო ურთიერთობების ტერმინოლოგიას.<br><br>პოლონეთისა და ესპანეთის უნივერსიტეტებთან საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით, საუნივერსიტეტო არჩევით მოდულს ორ-ორ სემესტრად დაემატა პოლონური და ესპანური ენების სასწავლო კურსები.<br><br>პროგრამას დაემატა კვლევისთვის მნიშვნელოვანი სავალდებულო კურსი - *სოციალური მეცნიერებების მონაცემთა* |

[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | *ანალიზი - SPSS მეთოდით.* გაიზარდა *პრაქტიკის* კრედიტების მოცულობა და გახდა 10.<br><br>უსაფრთხოების თემები წარმოდგენილია სასწავლო კურსებში: შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში (სავალდებულო), ტერორიზმი და კონტრტერორიზმი; სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობა საერთაშორისო ურთიერთობებში და სახელმწიფოს უსაფრთხო მართვა; საერთაშორისო ორგანიზაციები კონფლიქტების მართვის პროცესში; პოლიტიკური სისტემები და საერთაშორისო ორგანიზაციები ახლო აღმოსავლეთში (არჩევითი სასწავლო კურსები).<br><br>პრაქტიკული სწავლება გათვალისწინებულია მთელ რიგ კურსებში, მაგ. დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა (სტუდენტები სწავლობენ დიპლომატიურ მიმოწერას, დოკუმენტების შედგენას, ეტიკეტს და ა.შ.), პოლიტიკის მეცნიერების შესავალი, საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი და სხვა, სადაც case-study-ს ფორმატში იხილავენ საერთაშორისო ურთიერთობების ცალკეულ შემთხვევებს, ამზადებენ ანალიტიკურ მოხსენებებს, რეფერატებს, პრეზენტაციებს და ა.შ., |
| მტკიცებულებ(ები)ა | 1. შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში და საერთაშორისო პოლიტიკა კურსების სილაბუსები;<br>2. სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსები. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[18] | **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება[19] | **2.3. სასწავლო კურსი** |
| რეკომენდაცია III[20] | რეკომენდებულია, შეივსოს სილაბუსები დარგის უახლესი ლიტერატურით, მათ შორის ინგლისურენოვანით. |
| შეფასება | უსდ-მ გაითვალისწინა რეკომენდაცია.<br><br>კურსები: გადაწყვეტილების მიღების პროცესი საგარეო პოლიტიკაში, გეოპოლიტიკა, დიპლომატიის თეორია და |

[18]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[19]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[20]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | პრაქტიკა, კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, მეტადიპლომატია და დიპლომატიის სპეციალიზაციები, საერთაშორისო პოლიტიკა, შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საქართველოს ისტორია, პოლიტიკური იდეოლოგიები, საქართველოს საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკა, პოლიტიკური კონფლიქტების მართვა, შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში (სავალდებულო საგნები) , ამერიკის საგარეო პოლიტიკა, ევროინტეგრაცია, ნატოს როლი საერთაშორისო ურთიერთობებში, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობა საერთაშორისო ურთიერთობებში და სახელმწიფოს უსაფრთხო მართვა (სილაბუსში მითითებული Military Intelligence U.S. Army Intelligence Activities Headquarters Department of the Army Washington, DC 3 May 2007 UNCLASSIFIED https://armypubs.army.mil/epubs/DR_pubs/DR_a/pdf/web/r381_10.pdf მასალა/ინფორმაცია, როგორ უნდა იყოს გამოყენებული სწავლებისას, რთულად გასაგებია), საჯარო მმართველობა და პოლიტიკური სისტემა, ტერორიზმი და კონტრტერორიზმი, რუსეთის საგარეო პოლიტიკა (Russian Strategic Documents - Harvard Kennedy school Belfer center for science and international affairs https://www.russiamatters.org/russian-strategic-documents, რუსულენოვანია), ადამიანის უფლებები და დემოკრატია, საზოგადოებასთან ურთიერთობის ტექნიკა (ეს საგნები სპეციალობის არჩევითი კურსებია) გამრავალფეროვნდა და გათანამედროვდა ახალი ლიტერატურით; ლიტერატურის შესაბამისად შეიცვალა თემატიკაც. |
| რჩევაIII[21] | სასურველია, მეტი სიცხადე საბაკალავრო პროგრამაში დარგის ინგლისური ენის სწავლების თაობაზე, ნათლად იყოს ასახული სერტიფიკატის მქონე სტუდენტი ან ინგლისურენოვანი პროგრამიდან გადმოსული სტუდენტი თავისუფლდება თუ არა დარგობრივი ინგლისურის სწავლებისაგან. |
| შეფასება | უსდ-მ არ გაითვალისწინა რჩევა.<br><br>უსდ-ს მერ წარმოდგენილ ანგარიშში დევს დოკუმენტაცია (საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დანართი #1), როგორც არგათვალისწინების საფუძველი.<br><br>ვიზიტის დროს დასმული კითხვისა და მოსმენილი პასუხების შესაბამისად, გაიცა რჩევა. |

[21]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| მტკიცებულებ(ები)ა | 1. პროგრამის სავალდებულო და არცებითი კურსების სილაბუსები;<br>2. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დანართი #1.<br>3. ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[22] | **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება[23] | 2.3. სასწავლო კურსი |
| რეკომენდაცია IV[24] | რეკომენდებულია გადამუშავდეს სოციალური კვლევის მეთოდების კურსის სილაბუსი დარგობრივი მიმართულებით. |
| შეფასება | უსდ-მ გაითვალისწინა რეკომენდაცია.<br>შეიცვალა სასწავლო კურსის, *კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში*, განმახოეციელებელი პროფესორი, რომელმაც შეიტანა ცვლილებები სილაბუსში. |
| რჩევაIV[25] | სასურველია რიდერის ყოველ სავალდებულო წასაკითხ თემას ახლდეს ლიტერატურა, რომელსაც ის ეყრდნობა ან იყენებს. |
| შეფასება | უსდ-მ გაიზიარა ზემოაღნიშნული რჩევა.<br>ანგარიშზე მომუშავე ჯგუფის მოთხოვნით, კონკრეტული სასწავლო კურსების განმახორციელებელმა პროფესორებმა, რომლებიც იყენებენ რიდერებს, წარმოდგინეს რიდერში გამოყენებული ლიტერატურა. |
| მტკიცებულებ(ები)ა | 1. სილაბუსი-კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში;<br>2. კურსების -ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია, საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია, მეტადიპლომატია, მეორე უცხო ენა (რუსული ენა) – 3, კრიტიკული აზროვნება, დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა, სილაბუსები. |

[22]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[23]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[24]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[25]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[26] | **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;**<br>**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.** |
| კომპონენტის დასახელება[27] | **1.2 პროგრამის სწავლის შედეგები;**<br>**2.3. სასწავლო კურსი.** |
| რეკომენდაცია V[28] | რეკომენდებულია გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების სტატუსი და შინაარსი პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისად. |
| შეფასება | უსდ არ ითვალისწინებს გაცემულ რეკომენდაციას.<br><br>თუ გავითვალისწინებთ, 2.3 სტანდარტის შესაბამისობაში მოსაყვანად ჩატარებულ ცვლილებებს (ლიტერატურისა და თემატიკის შეცვლა, რაც რეალურად კურსის შინაარსის ცვლილებაა, უსაფრთხოების პრობლემატიკის ასახვას მთელ რიგ საგნებში, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას, კურსი - საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ცვლილებებს, კურსი - სოციალური მეცნიერებების მონაცემთა ანალიზი SPSS მეთოდით, სავალდებულო სტატუსით დამატება; უსდ-ს ანგარიშის გათვაისწინებით, ფაქტობრივად გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია). |
| რჩევაV[29] | ინგლისური ენის შეთავაზების კუთხით, სასურველია არ იქნეს შეთავაზებული ინგლისური ენა დამწყებთათვის, ვინაიდან ამ სამი დონით შეუძლებელი იქნება დარგობრივი ინგლისური ენის ათვისება, სტუდენტებისთვის შეთავაზებული იყოს ორი პაკეტი B1 ან B2 დონით დაწყება, რაც დარეგულირდება სტუდენტის ჩარიცხვის შემდეგ. |
| შეფასება | უსდ არ ითვალისწინებს აღნიშნულ რჩევას. |

[26]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[27]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[28]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[29]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | ჩემთვის მისაღებია განმარტება ინგლისური ენის სწავლებათან დაკავშირებულ სტრატეგიაზე. |
| მტკიცებულებ(ები)ა | 1. პროგრამის კურსების სილაბუსები;<br>2. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა (პროგრამის დანართი #1). |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[30] | **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება[31] | **2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**<br><br>**2.3. სასწავლო კურსი** |
| რეკომენდაცია VI[32] | აუცილებელია, რომ გაძლიერდეს სტუდენტთა კვლევითი უნარები. მათ საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ კვლევის მეთოდოლოგიები და კვლევის კონკრეტული ტექნიკები. |
| შეფასება | უსდ ითვალისწინებს რეკომენდაციას.<br><br>*სოციალური კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის* სილაბუსში განხორციელდა დარგობრივი ცვლილებები, რომელიც მიმართულია კვლევის მეთოდოლოგიებისა და კვლევის კონკრეტული ტექნიკების შესწავლაზე.<br><br>ამას გარდა უსდ-მ განახორციელა ღონისძიებები სტუდენტთა კვლევით პროცესებში აქტიური ჩართვისათვის. მაგალითად, უნივერსიტეტის ფუნდამენტური კვლევების გრანტების და მცირე სამეცნიერო გრანტების კონკურსის ერთერთი კრიტეტიუმია პროექტში სტუდენტთა ჩართვა; ახალგაზრდა მეცნიერების/მკვლევრების, მათ შორის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების თანადაფინანსება სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდებიდან სამეცნიერო გრანტების მოსაზიდად; სამეცნიერო პრემია „თამარი“ ახალგაზრდა |

[30]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[31]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[32]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | მეცნიერებისთვის; ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია; საგრანტო დაფინანსების სისტემა, სტატიის გამოქვეყნების მხარდაჭერა, ტრენინგები საპროექტო განაცხადის მოსამზადებლად და სხვა. |
| რჩევაVI[33] | სასურველია პროგრამაში გაძლიერდეს ეკონომიკური მიმართულების საკითხების სწავლება. |
| შეფასება | უსდ რჩევას არ ითვალისწინებს და თვლის, რომ მოდიფიცირებული ეკონომიკის მიმართულების ერთი საგანი - საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საკმარისია ეკონომიკური თემების შესასწავლად.<br><br>აკრედიტაციის ექსპერტებმა თავდდაპირველი სურვილი იყო პროგრამას დამატებოდა ეკონომიკის მიმართულების რამდენიმე საგანი, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ გაღრმავებული ცოდნა აღნიშნულ დარგში. თუმცა, საბოლოოდ შეჯერდნენ შემდეგ რეკომენდაციაზე: „პროგრამას დაემატოს კურსი - *ეკონომიკის შესავალი/საფუძვლები* ან მოხდეს *საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების* კურსის მოდიფიცირება (არსებულ კურსს დაემატოს ეკონომიკის საფუძვლის შემქმნელი ძირითადი ელემენტები)“. უსდ-ს გადაწყვეტილებით, შესრულდა რეკომენდაციის მეორე ნაწილი ანუ მოდიფირება.<br><br>**დაზუსტება:** რჩევა გასცა აკრედიტაციის საბჭომ. |
| მტკიცებულებ(ები)ა | 1. კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში კურსის სილაბუსი.<br>2. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის ვებგვერდი http://research.ciu.edu.ge/<br>3. კურსი - საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სილაბუსი |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[34] | **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |

[33]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[34]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

| | |
|---|---|
| კომპონენტის დასახელება[35] | **2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება;** |
| რეკომენდაცია VII[36] | აუცილებელია, შემუშავდეს შეფასების სტანდარტული ფორმა სტაჟირების განმახორციელებლებისათვის, რომელიც იქნება თავსებადი სილაბუსში გაწერილ კრიტერიუმებთან ჩაშლილი ქულობრივი შეფასებით. ამავდროულად, გაიწეროს სილაბუსში კონკრეტულად მუშაობის საათობრივი განაწილება: 30 საათი ინდივიდუალური (რა დავალება სრულდება) და 1 საათი მენტორთან მუშაობა (რას ეძღვნება? რა ფორმატში მიმდინარეობს?). |
| შეფასება | უსდ არ ითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციას.<br><br>აღნიშნულ რეკომენდაციას დაეთანხმა მთელი ჯგუფი, რადგან ვიზიტის დროს კურსის განმახორციელებლებთან გასაუბრებამ ვერ შეიტანა სიცხადე, თუ რას ეთმობოდა 30 საათი, რა უნარების გამომუშავებაზეა ორიენტირებული მენტორი; რა პრინციპით ხდება ორგანიზაციის შერჩევა (საკითხები მნიშვნელოვანია, რადგან კურსი სავალდებულოა); პრაქტიკის განმახორციელებელი პოტენციური ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ სტუდენტთა მიღების შესაძლებლობა დიდ დიაპაზონში ვარირებს (3-80), რაც აგრეთვე აჩენს კითხვას, როგორ შეძლებს ორგანიზაცია მიიღოს 80 სტუდენტი); ამასთან შეთავაზებული იყო პრაქტიკის კურსს დამატებოდა ისეთი აქტივობები, რომელიც გააძლიერებდა სხვა პროფესიულ უნარებს, როგორიცაა პროცესის დაგეგმვა, წარმართვა, დავალების დროული შესრულება, კვლევა, ინტერვიუირება, მასალის მოძიება, იდენტიფიცირება, ანალიზი და სხვა.<br>აკრედიტაციის ჯგუფის მოთხოვნა პრაქტიკის კურსში ჩართულ ორგანიზაციებს წარმოედგინათ შეფასების ფორმა კრიუტერიუმებითა და ქულები, დააკმაყოფილა მხოლოდ ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლმა (თუმცა, ფორმაში არ იყო ქულობის მოხედვით ჩაშლა); სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლება ვერ განმარტეს, კონკრეტულად რას ასრულებს სტუდენტი, რა უნარები უვითარდება და როგორ აფასებენ მის მუშაობას. |

[35] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[36] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| რჩევაVII[37] | სასურველია სავარაუდო საბაკალავრო თემის სათაურების დაკონკრეტება და საბაკალავრო ნაშრომის მოცულობის გადახედვა / კორექტირება. |
| შეფასება | უსდ არ ითვალისწინებს რჩევას და თვლის, რომ „საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესში" გაწერილია, რომ თემას ხელმძღვანელთან კონსულტაციის საფუძველზე სტუდენტი ირჩევს თემას ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული თემატიკიდან. შესაბამისად, არ დგება კვლევის პროცესში თემის სათაური გადახედვის აუცილებლობა.<br>„საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესის მიხედვით, „საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 20 და არაუმეტეს 30 გვერდისა, გაფორმებული წინამდებარე წესის შესაბამისად. რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული გვერდი დანართისა და ბიბლიოგრაფიის გარეშე".<br><br>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა რჩევა გასცა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისა და სხვადასხვა შეფასებამიღბული საბაკალავრო ნაშრომების გაცნობის შემდეგად. |
| მტკიცებულებ(ები)ა | 1. საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესი,<br>2. გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ვიზიტის დროს. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[38] | **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება[39] | **2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება;** |

[37]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[38]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[39]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

| | |
|---|---|
| რეკომენდაცია VIII[40] | რეკომენდებულია, სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსების გადახედვა შეფასების კრიტერიუმების კონკრეტიზაციის მიზნით. |
| შეფასება | უსდ არ ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას და თვლის, რომ ყველა სილაბუსში გაწერილია შეფასების კომპონენტები, მითითებულია რამდენი ქულით ფასდება ყოველკვირეული აქტივობები, რეფერატის პრეზენტაცია, პროექტის პრეზენტაცია, ქვიზების შესრულება, და ა.შ.), შუალედური და დასკვნითი გამოცდები.<br><br>შეფასების სისტემაში დაკონკრეტებულია რამდენი ქულა უნდა დააგროვოს სტუდენტმა თითოეული აქტივობით; ასევე დეტალურადაა ჩაშლილი რამდენ ქულიანია შუალედური და დასკვნითი გამოცდა დავალების მიხედვით.<br><br>შეფასებები ითვალისწინებს საგნის სპეციფიკას, ამიტომ შესაძლებელია რომელიმე კომპონენტში (განსაკუთრებით მაშინ, როცა სილაბუსის ავტორი ერთი და იგივე პროფესორია) შეფასების სისტემა დაემთხვეს ერთმანეთს.<br><br>მოყვანილ არგუმენტს ვეთანხმები, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ რეკომენდაცია გაცემული ვიზიტის დროს აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, გულისხმობს, რომ „რამდენიმე კურსის ფარგლებში არ იყო ნათლად მითითებული, თუ კონკრეტულ დავალებას როგორ უფასებს პროფესორი სტუდენტს. რამდენიმე საგანში სტუდენტს უწევს რეფერატისა და პრეზენტაციის მომზადება. ამ ორი დავალების ქულები არაა ერთმანეთისგან გამოყოფილი და სტუდენტისთვის ბუნდოვანია კონკრეტულად რაში რა შეფასება მიიღო“ (აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, 2.6 სტატდარტი, სასწავლო კურსების შეფასება). |

[40]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | მაგალითად, მტკიცებულებად წარმოდგენილ ერთ-ერთ სილაბუსში (საერთაშორისო პოლიტიკა) **რეფერატის პრეზენტაცია** არის შესასრულებელი დავალებათა შორის.<br>**„რეფერატი <u>პრეზენტაციით</u> - მაქსიმუმ 7 ქულა; რეფერატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ის თუ:**<br>რამდენად მოცულობითია ნაშრომი;<br>აქვს თუ არა სტუდენტს განსახილველი თემის გარშემო ლოგიკურ აზროვნებასთან ერთად მისი დაკონკრეტებისა და განზოგადობის უნარი;<br>შესრულებულია თუ არა დავალება გამართული, ლიტერატურული ქართულით *(რეფერატი წერილობითია თუ გამართული ქართულით უნდა მეტყველებდეს სტუდენტი? (ნ.ფ.)).*<br>**7 ქულა:** <u>რეფერატის შინაარსობივი, ფორმალური მხარე სრულყოფილია და პრეზენტაციისას აუდიტორიასთან კონტაქტი მაღალია.</u> საკითხი ზუსტად არის დასმული და გადმოცემულია ამომწურავად, ჩატარებულია ღრმა ანალიზი და გაკეთებულია არგუმენტირებული დასკვნები. მაღალია პროექტის ვიზუალური გაფორმება და სტუდენტი სრულად ამყარებს აუდიტორიასთან ურთიერთობას და ყველა კითხვაზე ავლენს საფუძვლიან ცოდნას;" *(ანუ ზეპირი პრეზენტაციაა მხოლოდ?* (ნ.ფ.)) (ციტატა საერთაშორისო პოლიტიკის კურსის სილაბუსიდან).<br><br>გაუგებარია რეფერატის მხოლოდ ზეპირი პრეზენტაცია ფასდება თუ წერილობითი ფორმაც და თუ ორივე, მაშინ როგორ ნაწილდება ქულა ზეპირ და წერილობით ფორმებში. |
| რჩევაVIII[41] | უსდ-მ უფრო აქტიურად შესთავაზოს სტუდენტებს კარიერული განვითარების მიმართულებით სხვადასხვა შესაძლებლობები მათი სპეციალობიდან გამომდინარე. |
| შეფასება | უსდ არ ითვალისწინებს რჩევას.<br>მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კურსდამთავრებულების გამოკითხვას ატარებს დასაქმების მიმართულებით, რაც საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს გაანალიზოს სტუდენტთა საჭიროებები და მოთხოვნები და ასევე, სთავაზობს მრავალმხრივ შესაძლებლობას პრაქტიკის |

[41]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | მიმართულებით, მწირია ისეთ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რომლებიც უშუალოდ სპეციალობით დაასაქმებენ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტებს. კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგადაც გამოიკვეთა, რომ უმრავლესობა დასაქმებულია სხვა სპეციალობით. |
| მტკიცებულებ(ები)ა | 1. სილაბუსები,<br>2. ვიზიტის დროს პროფესორებთან ინტერვიუები,<br>3. ინტერვიუები პოტენციურ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან ვიზიტის დროს. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[42] | **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება[43] | **2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება;** |
| რეკომენდაცია IX[44] | რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების განახლება. კვლევის მეთოდებსა და ნაშრომის გაფორმების სტილზე აქცენტირება. |
| შეფასება | უსდ არ ითვალისწინებს რეკომენდაციას.<br><br>უსდ თვლის, რომ „საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესში" გაწერილია, როგორ ხდება საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურის აგება (საბაკალავრო ნაშრომის შემადგენელი ნაწილები: შესავალი, მიღებული შედეგები და ამათი ანალიზი, დასკვნა; ძირითადი ტექსტის დაყოფა თავებად და ქვეთავებად).<br>ამასთან უსდ ხაზს უსვამს, რომ ნაშრომის გაფორმების სტილს, სტუდენტები სწავლობენ I სემესტრში, „წერის უნარების" სასწავლო კურსში.<br><br>ექსპერტებმა ვიზიტისათვის წარმოდგენი დოკუმენტაციაში არსებული „წერის უნარების" სილაბუსის შესწავლის საფუძველზე დაადგინეს, რომ აღნიშნული კურსი არაა მორგებული სფეროზე, შესაბამისად, არაა საკმარისი საბაკალავრო ნაშრომისათვის აუცილებელი აკადემიური |

[42]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[43]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[44]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | წერის სტილი შესასწავლად). ამასთან რეკომენდაცია ფოკუსირებას აკეთებს კვლევის მეთოდებზე, რაც გულისხმობს კვლევის კითხვისა და ჰიპოთეზის ტესტირებისათვის შესაბამისი მეთოდოლოგიისა და ტექნიკის შერჩევას.<br>ვიზიტის ფარგლებში საბაკალვრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების, ექსპერტებისათვის წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომის შესწავლის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა ერთხმად გასცა აღნიშნული რეკომენდაცია. |
| რჩევა IX[45] | სასურველია საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისთვის სტუდენტების ჩართულობის წახალისება და დროული ინფორმირება. |
| შეფასება | უსდ არ ეთანხმება რჩევას.<br><br>ესდ-ს მიერ წარმოდგენილ ანგარიშში არის ჩამონათვალი ღონისძიებებისა, რომელსაც უსდ ატარებს სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გასაზრდელად.<br>ესენია:<br>მცირე სამეცნიერო გრანტების, ახალგაზრდა მკვლევრების გრანტით დაფინანსების, ფუნდამენტური კვლევების გრანტით დაფინანსების და სამეცნიერო მივლინებების გრანტით დაფინანსების სისტემა,<br>ახალგაზრდა მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის საგრანტო კონკურსი,<br>უნივერსიტეტის ფუნდამენტური კვლევების გრანტების და მცირე სამეცნიერო გრანტების კონკურსის ფარგლებში სავალდებულოა პროექტის ძირითად პერსონალში ახალგაზრდა მკვლევრების ჩართვა,<br>ახალგაზრდა მეცნიერების/მკვლევრების თანადაფინანსება სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდებიდან სამეცნიერო გრანტების მოსაზიდად, სამეცნიერო პრემია „თამარი“ ახალგაზრდა მეცნიერებისთვის.<br>აკრედიტაციის ექაპერტთა ჯგუფმა რჩევა გასცა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტერვიუირების საფუძველზე. |

[45]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| მტკიცებულებ(ები)ა | 1. საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესი,<br>2. კსუ-ის ვებ გვერდი,<br>3. გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ვიზიტის დროს. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[46] | **5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** |
| კომპონენტის დასახელება[47] | **5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება** |
| რეკომენდაცია X[48] | რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად. |
| შეფასება | უსდ არ ითვალისწინებს გაჟღერებულ რეკომენდაციას. უსდ თვლის, რომ  შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები ეფექტურად მუშაობს.<br>სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამაში სამიზნე ნიშნულად აღებულია 70%-ია.  სემესტრის ბოლოს პროგრამაში ჩართული პროფესორები, პროგრამის ხელმძღვანელებთან  და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, გაუსის მეთოდით სწავლობენ და აანალიზებენ სწავლის მიღწეულ  შედეგებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს რეაგირების მექანიზმებიც.  არსებობს პროცესის შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები. მაგ, 2021 წლის 07 დეკემბერის დოკუმენტაცია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2018-2019 და 2019-2020 წლის ანგარიშები და ა.შ., სადაც აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების მიღწევას პროგრამების სწორად დაგეგმვასა და განხორციელებასთან ერთად.<br>საკრედიტაციოდ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში დოკუმენტაციას (დანართ #4  და დანართ #13)  უსდ-მ დაუმატა დეკუმენტაცია, რომელიც აკრედიტაციის მიღების შემდგომ შეიქმნა (2020-2021-ის ანგარიში) და განმეორებით გადმოიგზავნა 2018-2019 და 2019-2020 წლების ანგარიშები; ასევე, დოკუმენტები 2020 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის |

[46]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[47]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[48]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | მიერ ჩატარებულ კვლევის შესახებ ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით (განმეორებით); აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების 2022 წლის სამოქმედო გეგმა და 2022 წელს ჩატარებული კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა.<br><br>**დაზუსტება:** რეკომენდაცია გასცა აკრედიტაციის საბჭომ. |
| რჩევა X[49] | სასურველია უსდ-ს გარე აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის წახალისება. |
| შეფასება | უსდ არ ითვალისწინებს აღნიშნულ რჩევას.<br>უსდ-ს ანგარიშში წარმოდგენილია წარმოდგენილია საქტივობების სია, რომლშიც მიიღეს მონაწილეობა უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალვრო პროგრამის სტუდენტებმა 2022 წელს ანუ ვიზიტის შემდგომ პერიოდში. ხოლო თანმხლები მტკიცებულები იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიურ ანგარიშებს 2017 წლიდან.<br>თუმცა, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებთან შეხვედრამ არ გამოკვეთა მსგავს აქტივობებში მონაწილეობა. |
| მტკიცებულებ(ები)ა | 1. უნივერსიტეტის ვებგვერდი www.ciu.edu.ge,<br>2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები,<br>3. მემორანდუმი უნივერსიტეტსა და „ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრს შორის“,<br>4. გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ვიზიტის დროს. |

| | |
|---|---|
| რჩევა XI[50] | სპეციალობის გაცვლითი პროგრამების მხრივ უფრო აქტიური მუშაობა უსდ-ს მხრიდან. |
| შეფასება | უსდ არ ითვალისწინებს რჩევას. |

[49]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[50]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | მემორანდუმების შესწავლამ აჩვენა, რომ კსუ თანამშრომლობს ბევრ უცხოურ უნივერსიტეტთან. 2022-ში ძალაში შევიდა მობილობის (გაცვლითი) პროგრამების მარეგულირებელი წესი, რითაც დიდი ალბათობით უნდა გაიზარდოს სტუდენტთა სურვილი, მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში.<br>ამასთან უნდა ითქვას, რომ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან შეხვედრებისას გამოჩნდა, რომ სტუდენტები სწავლის პროცესში ნაკლებად არიან მოტივირებულები აღნიშნული პროგრამებში მონაწილეობით სხვადასხვა მიზეზის გამო (მათ შორის დასახელდა სამსახური). |
| მტკიცებულებ(ები)ა | 1. მემორანდუმები,<br>2. სტუდენტთა სემესტრული მობილობის (გაცვლითი) პროგრამების მარეგულირებელი წესი,<br>3. გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ვიზიტის დროს. |

| | |
|---|---|
| რჩევა XII[51] | საკონსულტაციო საათების მიზნობრიობაზე აქტიური კომუნიკაცია და სტუდენტების წახალისება, რომ ეფექტურად გამოიყენონ ეს დრო. |
| შეფასება | უსდ არ ითვალისწინებს ამ რჩევას.<br><br>მართალია, ყველა სილაბუსში მითითებულია კონკრეტული დრო (დღე, საათი) ან კონსულტაცია ლექტორთან შეთანხმებით; საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია საკონსულტაციო საათების ცხრილი და კონსულტაციების შესახებ სტუდენტებს ეძლევათ ინფორმაცია სწავლის დაწყებისას; მაგრამ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან შეხვედრამ აჩვენა, რომ ისინი ან არ სარგებლობენ აღნიშნული მომსახურებით ან არ ფლობენ ინფორმაციას. |
| მტკიცებულებ(ები)ა | 1. სილაბუსები;<br>2. გასაუბრება ლექტორებთან ვიზიტის დროს; |

[51]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | 3. გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ვიზიტის დროს. |

| | |
|---|---|
| რჩევა XIII[52] | სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების წასახალისებლად, რათა მათ აქტიურად გამოიყენონ აღნიშნული ბაზები. |
| შეფასება | უსდ არ ითვალისწინებს რჩევას.<br>უსდ სისტემატიურად ატარებს ტრენინგებს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების ეფექტიანად გამოყენების შესახებ. ამასთან უნივერსიტეტში სისტემატურად ტარდება სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურასა და სასწავლო მასალებზე ხელწვდომის შესახებ, რათა დადგინდეს, რამდენად ხშირად იყენებს სტუდენტი საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებს სწავლის პროცესში. სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან შეხვედრამ და საბაკალავრო ნაშროების შესწავლამ აჩვენა, რომ სტუდენტები იშვიათად იყენებენ სამეცნიერო ბაზებს, არ აქვთ ცოდნა, რა ბაზებს ფლობს უნივერსიტეტი და როგორ უნდა გამოიყენონ ისინი. |
| მტკიცებულებ(ები)ა | 1. ტრენინგების ჩამონათვალი: https://ciu.edu.ge/menu/slug/treningebi-RonisZiebebi,<br>2. გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ვიზიტის დროს. |

[52]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| რჩევა XIV[53] | სასურველია, პროგრამის განვითარებისა და გარე შეფასების პროცესში არა მარტო ქართველი, ასევე უცხოელი ექსპერტებისგანაც იყოს მიღებული გარკვეული შეფასებები, მით უფრო, რომ უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ მრავალფეროვანი საერთაშორისო კონტაქტები და მემორანდუმებით განსაზღვრული ურთიერთობები. |
| შეფასება | უსდ-მ გაითვალისწინა რჩევა და განმეორებითი აკრედიტაციის შემდგომ, მოხდა პროგრამის გარე შეფასება მოლდოვეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, სვეტლანა ჩებოტარისა და პოლონეთის, ჟოზეფ გოლუჩოვსკის უნივერსიტეტის პროფესორის, პაველ გოტოვიეცკის მიერ. |
| მტკიცებულებ(ები)ა | 1. მოლდოვეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, სვეტლანა ჩებოტარის გარე შეფასება;<br>2. პოლონეთის, ჟოზეფ გოლუჩოვსკის უნივერსიტეტის პროფესორის, პაველ გოტოვიეცკის გარე შეფასება. |

| | |
|---|---|
| რჩევა XV[54] | სასურველია გააქტიურდეს სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო დონეზე - ევროპულ უნივერსიტეტებში მობილობის მიმართულებით (მაგ. ერაზმუს + პროექტის ფარგლებში უსდ-მ ხელი შეუწყოს სტუდენტების გაცვლით პროექტებში ჩართვას). |
| შეფასება | უსდ არ ითვალისწინებს რჩევას.<br>აკრედიტაციის ექსპერტებმა მაგალითისათვის მიუთითეს ერაზმუს + პროექტი, რომელშიც უსდ არაა ჩართული, მაგრამ აქვს დღეისათვის 24 უნივერსიტეტთან მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს სტუდენტების გაცვლა.<br>სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრამ არ გამოკვეთა სტუდენტთა დაინტერესება გაცვლით პროგრამებში მონაწილეობით. |
| მტკიცებულებ(ები)ა | 1. მემორანდუმები; |

[53]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[54]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | 2. სტუდენტთა სემესტრული მობილობის (გაცვლითი) პროგრამების მარეგულირებელი წესი“,<br>3. ვიზიტის ფარგლებში გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. |

| | |
|---|---|
| რჩევა XVI[55] | ბენჩმარკინგის დოკუმენტში გამოიკვეთოს უცხოური ანალოგების შესწავლის შედეგები და უკუკავშირის მიღების საკითხი. |
| შეფასება | უსდ-მ გაითვალისწინა რჩევა.<br>მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ს მიერ პროგრამის განმეორებით აკრედიტაციაზე წარმოდგენამდე, პროგრამის ხელმძღვანელმა შეისწავლა საქართველოს 20 სახელმწიფო/ კერძო უნივერსიტეტისა და 11 უცხოური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, (ბენჩმარკინგის დოკუმენტი ახლდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშს) პროგრამა ხელახლა დადარდა 8 უცხოურ უნივერსტეტის ანალოგიურ პროგრამას, რის საფუძველზეც მოხდა პროგრამაში ცვლილებების შეტანა. უსდ იმედოვნებს, რომ გატარებული ღონისძიება გააქტიურებს სტუდენტთა მობილობის პროცესსაც. |
| მტკიცებულებ(ები)ა | საზღვარგარეთის უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამების შემსწავლელი დოკუმენტები (პროგრამების აღმწერი ინფორმაცია). |

[55] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

**თანდართული დოკუმენტაცია:**[56]

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებგვერდი http://ciu.edu.ge/,

სავალსებულო და სპევციალობის არჩევითი კურსების სილაბუსები,

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა (დანართი #1),

საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესი,

მემორანდუმი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და „უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციას“ შორის,

მემორანდუმი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და „საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ვეტერანთა კავშირს“ შორის,

მემორანდუმი უნივერსიტეტსა და „ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრს შორის“,

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის 2021 წლის ბიუჯეტი,

საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის 2022 წლის ბიუჯეტი (http://research.ciu.edu.ge/),

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშები 2018-დან 2021 წლამდე,

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება,

2022 წელს ჩატარებული კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა,

მემორანდუმები უცხოურ უნივერსეტეტებთან,

ტრენინგების ჩამონათვალი (https://ciu.edu.ge/menu/slug/treningebi-RonisZiebebi),

სტუდენტთა სემესტრული მობილობის (გაცვლითი) პროგრამების მარეგულირებელი წესი,

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის 2021 და 2022 წლის ბიუჯეტი,

საზღვარგარეთის უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამების შემსწავლელი დოკუმენტები.

***ექსპერტის ხელმოწერა***

[56] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა